ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N14

ქ.თბილისი 30.01.2012 წ.

ერთი მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი მესტვირიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯია" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის საბა ჯიშიაშვილის სახით (დირექტორის 2012 წლის 16 იანვრის N1/27 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილი პირი) „სახელმწიფო" შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: - ტალონური სისტემით საავტომობილო საწვავის, პრემიუმის (ოქტანობა არანაკლებ 95 ), რეგულარის (ოქტანობა არანაკლებ 91, მინიმუმ ევრო 3 სტანდარტი) და დიზელის (PPM-50-ზე ნაკლები )შესყიდვა /09100000-CPV/ .

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 14594 ლარი (თოთხმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი),

- ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის ერთი ლიტრი საწვავის ღირებულება: პრემიუმის (ოქტანობა არანაკლებ 95 ) - 2,13 ლარი, რეგულარის (ოქტანობა არანაკლებ 91, მინიმუმ ევრო 3 სტანდარტი) -2,05 ლარი და დიზელის (PPM-50-ზე ნაკლები )- 2,22 ლარი .

3. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით შეადგენს: პრემიუმის (ოქტანობა არანაკლებ 95 ) - 2200 ლიტრს, რეგულარის (ოქტანობა არანაკლებ 91, მინიმუმ ევრო 3 სტანდარტი) - 4400 ლიტრს და დიზელის (PPM-50-ზე ნაკლები )- 400 ლიტრს.

4. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის სახელშეკრულებო ღირებულების გადახდა განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორებით „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე " სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის №25 ბრძანების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. მიმწოდებლის მიერ ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ დროს.

5. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2012 წლის 30 იანვრიდან 2012 წლის 01 მარტის ჩათვლით.

7. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

8. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან 2 ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო თამარმეფის 34
ს/ კოდი: 230869254
ა/ა GE02LB0120116397860000
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22

გ. მესტვირიშვილი

მიმწოდებელი

შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯია"
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. N154
ს/ კოდი: 404391136
ა/ა GE62BG0000000876831000
სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22

[illegible]შვილი